




## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

### თავხელიძე დავით დავითის ძე



დ. თავხელიძე

თავხელიძე დავით დავითის ძე (დ. 12. VIII. 1946, თბილისი), ინჟინერ-მექანიკოსი. საქართველო. მეცნი. ეროვნ. აკადემიის წ.-კორ. (2009). ტექ. მეცნი. დოქტორი (1986), პროფესორი (1988). 1968 დაამთავრა სპი-ის მანქანათმშენებლობის ფაკულტი, 1971 მუშაობა დაიწყო ამავე ინ-ტის მანქანათა ნაწილების კათედრაზე. 1985-2003 სტუ-ში ხელმძღვანელობდა ტექნოლ. პროცესების ლაბორატორიას, პარალელურად 1987-2005 იყო სტუ-ის მექანიზმებისა და მანქანათა თეორიის კათედრის გამგე, 2005-08 - ტრანსპორტისა და მანქანათმშენებლობის ფაკ-ტის დეკანი, ხოლო 2008-იდან - სტუ-ის სამეცნი. დეპარტამენტის უფროსი. 2009 აირჩიეს ევროპ. მეცნი. და კულტ. აკადემიის ნამდვილ წევრად.

თ-ის სამეცნი. შრომები მოიცავს: ბრტყელი და სივრცითი მრავალრგოლიანი სახსროვანი მექანიზმების კინემატიკური და დინამიკ. ანალიზისა და სინთეზის საკითხებს, კერძოდ, სამრეწველო რობოტების შემსრულებელი მექანიზმების დინამიკას; მცირე ჰიდროელექტროსადგურებისათვის ორმაგი ქმედების ტურბინების შექმნას და დანერგვას; მცირე სიმძლავრის ქარის ელექტროსადგურების შექმნასა და დანერგვას; ოპტიკურ-ბოჭკოვანი სენსორების გამოყენების ბაზაზე ლითონკონსტრუქციების მონიტორინგისათვის განკუთვნილი დანადგარების შექმნას და დანერგვას. სამუშაოსათვის „ცილინდრული დეტალების დამმუშავებელი გადასამართავი რობოტიზებული ხაზის შექმნა

და დანერგვა" მიენიჭა საქართვე. სახელმწ. პრემია (1986). ავტორია მრავალი სამეცნ. ნაშრომისა. 1999-იდან მუშაობს ევროკომისიის მიერ დაფინანსებული პროექტების შესრულებაზე. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2013).

*თბზ.*: ინგლისურ-ქართული განმარტებითი ლექსიკონი გამოყენებით მექანიკაში, თბ., 2004; გამოყენებითი მექანიკა, თბ., 2005; მექანიზმების დინამიკური ანალიზი, თბ., 2008; Математическое моделирование и динамический синтез многосвязных систем приводов промышленных роботов, Тб., 2009; Solution of straight geometrical problem for five link mechanism with two degrees of freedom, Tb., 2011.

---